სტუდენტთა მობილობის პროცესი დაიწყო

უმაღლესი სასწავლებლის შეცვლის მსურველებისთვის მობილობის პროცესი 3 თებერვალს დაიწყო და გაგრძელდება 15 თებერვლამდე. მობილობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ავტორიზებული/აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს. არააკრედიტებული უნივერსიტეტის სტუდენტს მობილობის უფლება აქვს აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე (2005 წლამდე) ჩარიცხვის შემთხვევაში. 2005 წლის შემდეგ ჩარიცხულ სტუდენტებს, მობილობის უფლების მოსაპოვებლად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება მოუწევთ.

რეგისტრაცია ,ონლაინ რეჟიმში, განხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ვებ - გვერდზე: www.eqe.ge. ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისთვის საჭიროა პირადობის მოწმობა . მობილობის უფლების მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი, უმაღლეს სასწავლებელში, პირადი საქმის ასლებსა და განცხადებას წარადგენს 16 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით. მობილობის მსურვლი სტუდენტები წარმოადგენენ პირადობის მოწმობის, ატესტატის, ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ბარათის, უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების ასლებს, ოთხ ფერად ფოტოსურათს (3/4) და საქართველოს ბანკში 50 ლარის ოდენობის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ - გვერდზე დარეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლების მონაცემები სტუდენტებისთვის საჯარო იქნება. სტუდენტს შეუძლია დააფიქსიროს სასურველი არჩევანი უნივერსიტეტის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მობილობის მსურველს უფლება აქვს აირჩიოს არა უმეტეს 5 პროგრამა. მობილობის უფლების მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არჩევანის პრიორიტეტს. თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვისას პრიორიტეტი ენიჭებათ ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი შედეგების მქონე სტუდენტებს .

მობილობის შედეგები, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, 16 თებერვალს გამოქვეყნება.